სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/146

ქ. თბილისი

5 ოქტომბერი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 5 ოქტომბრის № 01-05-04/23 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის შესწავლაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა და მომავალი თაობების აღზრდის საქმეში გამორჩეული ღვაწლის აღსანიშნავად, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, **აკადემიკოს როინ მეტრეველს** მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **საპატიო დოქტორის** წოდება.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**